# ტროლები ანტისაოკუპაციო პროტესტის წინააღმდეგ





MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

# ტროლები ანტისაოკუპაციო პროტესტის წინააღმდეგ

**ანგარიშზე მუშაობდნენ:**
თამარ კინწურაშვილი, სოფო გელავა, ირაკლი იაგორაშვილი, ნანა რაფავა

**ინფოგრაფიკა:**
მარიამ ცუცქირიძე

www.mythdetector.ge
www.mdfgeorgia.ge

მედიის განვითარების ფონდი, 2019

# შესავალი

2019 წლის 20 ივნისს მართლმადიდებელი საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესიაზე რუსეთის სახელმწიფო დუმის კომუნისტი დეპუტატის სერგეი გავრილოვის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის ადგილის დაკავებას ჯერ საპარლამენტო ოპოზიციის, შემდეგ კი პარლამენტის წინ საქართველოს მოქალაქეების პროტესტი მოჰყვა. სამართალდამცავების მიერ აქციის პირველ დღეს მომიტინგეების ძალის გამოყენებით დაშლის შემდეგ კი ანტისაოკუპაციო აქციებმა, სახელწოდებით “სირცხვილია” პერმანენტული სახე მიიღო. აქციის მონაწილეები მათი მესამე მოთხოვნის - შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებოიდან გადაყენებას ითხოვენ, რაც 20 ივნისს ძალის გამოყენებით აქციის დაშლას უკავშირდებოდა.

სოციალურ ქსელებში აქციის დისკრედიტაციის კამპანია დაიწყო, რომელშიც როგორც სახელისუფლებო, ასევე პრორუსული და სიძულვილის ჯგუფების ტროლები და Facebook გვერდები ორგანიზებულად ჩაერთვნენ.

წინამდებარე ანგარიში სახელისუფლებო, პრორუსული და სიძულვილის ენის ჯგუფების ტროლების გამოვლენას ახდენს და მათი გზავნილების თანხვედრაზე და განსხვავებულ ტაქტიკებზე ამახვილებს ყურადღებას. მომავალ ანგარიშში (II ნაწილი) მედიის განვითარების ფონდი ამავე ჯგუფების ფეისბუკ გვერდების მონიტორინგის შედეგებს მიმოიხილავს.

ფეისბუკ ტროლებზე სოციალურ ქსელში დაკვრვება 20 ივნისიდან 15 ივლისამდე ხორციელდებოდა და ამ პერიოდში ანტისაოკუპაციო პროტესტთან დაკავშირებული სხვა მოვლენებიც მოიცვა.

# სარჩევი

მთავარი მიგნებები..........................................................................................4

I. ტროლები..............................................................................................................5
1.1. სახელისუფლებო ტროლები.......................................................................5
1.2. პრო-რუსული და სიძულვილის ჯგუფების ტროლები......................................35

II. დეაქტივირებული სახელისუფლებო ტროლები..........................................52

## მთავარი მიგნებები

**ფეისბუკის მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა:**

- მონიტორინგის პერიოდში სულ 39 ტროლი გამოვლინდა, რომელთაგან 32 სახელისუფლებო, ხოლო 7 პრორუსულ და სიძულვილის ჯგუფებს წარმოადგენს.
- 32 სახელისუფლებო ტროლიდან 18 სხვის იდენტობას იპარავს, ხოლო 14 საკუთარ იდენტობას მალავს. ტროლების უმეტესობა რუსული სოციალური ქსელის Vkontacte-ს პროფილებს იყენებს, ამასთანავე რუსეთის გარდა, ავთენტური პროფილები ისრაელის, პოლონეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, ზიმბაბვეს, ბელორუსის, ეგვიპტის მცხოვრებლებს ეკუთვნით, გარკვეულ შემთხვევებში კი ტროლები მსახიობების და მომღერლების იდენტობით აქვეყნებენ თავიანთ პოსტებს.
- 32-დან 16 ტროლს მოწონებული აქვს ხულოს და ზუგდიდის სხვადასხვა საარჩევნო უბნის ფეისბუკ გვერდები. აღნიშნულ გვერდებზე 2019 წლის 19 მაისს ხულოსა და ზუგდიდის შუალედურ არჩევნებზე საარჩევნო უბნებზე და მიმდებარე ტერიტორიებზე გადაღებული სამოყვარულო ვიდეოკადრებია განთასვებული. რამოდენიმე ვიდეოში გაცხადებულია, რომ ვიდეოს ტვ “იმედის” სტრინგერები იღებდნენ.
- გარდა საარჩევნო გვერდებისა, სახელისუფლებო ტროლები ძირითადად იწონებდნენ ქართული ოცნების მხარდამჭერ პარტიულ, ასევე ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ შექმნილ ისეთ ფეისბუკ გვერდებს, როგორიცაა “ერთიანი პროვოკაციული მოძრაობა”, “ამხილე”, “ნაცი კლავას”, “ტერენტი გლდანელი”, “ზუგდიდს ნაცების არ სჯერა” და სხვა.
- ზოგიერთი სახელისუფლებო ტროლი აქციამდეც იყო ჩართული როგორც საერთაშორისო და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციის, ასევე პოლიტიკური ოპონენტებისა და TBC ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ კამპანიაში.
- გამოიკვეთა ორი ტიპის სახელისუფლებო ტროლები: ერთი ნაწილი ღიად იყო ჩართული ანტისაოკუპაციო პროტესტის წინააღმდეგ კამპანიაში და თავიანთ მოსაზრებებს საკუთარ გვერდებზე გამოხატავდა; მეორე ნაწილი კი უფრო მხარდამჭერი ტროლების კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც ქართული ოცნების ხელისუფლების, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა მინისტრის ცალკეულ ინიციატივებს ან იწონებენ (ალაიქებენ), ან მათთან დაკავშირებულ სიახლეებზე და პოსტებზე მხარდამჭერ კომენტარებს ტოვებენ.
- როგორც სახელისუფლებო ტროლები, ასევე პრორუსი და სიძულვილის ჯგუფების ანტისაოკუპაციო აქციის პრაიდად და გეი რევოლუციად წარმოჩენას ცდილობდნენ და ლგბტ თემის გარდა მას ნაციონალურ მოძრაობას და ლიბერალურ ჯგუფებს ნეგატიურ კონტექსტში უკავშირებდნენ.
- ორივე ჯგუფის ტროლების შემთხვევაში თანხვედრა იკვეთება რუსეთის მიმართ ომისა და ეკონომიკური სანქციების დაწესების შიშების დათესვის მხრივაც, რაც განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც ტვ რუსთავი 2-ის წამყვანმა გიორგი გაბუნიამ რუსეთის პრეზიდენტს პირდაპირ ეთერში აგინა.
- სახელისუფლებო ტროლები მეტ აქცენტს აკეთებდნენ ანტისაოკუპაციო აქციის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად, რევოლუციად წარმოჩენაზე, ასევე მინისტრ გახარიას მხარდასაჭერ კომენტარებზე, რა დროსაც როგორც ქრისტიანობით მანიპულირება (ვინც ქრისტიანია, დაუჭირეთ მხარი), ასევე ჰომოფობიური კონტექსტის შექმნა (გახარია არ მოსწონთ ლიბერალებს იმის გამო, რომ ის გარყვნილებისგან გვიცავს) ხდებოდა.
- სახელისუფლებო ტროლების სამიზნე რუსთავი 2-ის გარდა, ტვ პირველი და რადიო თავისუფლება იყო.
- 31 სახელისუფლებო ტროლიდან, რომლებიც მედიის განვითარების ფონდმა TBC ბანკის საქმეზე, პანკისში განვითარებულ მოვლენებზე და არასამთავრობო ორგანიზაციების და კრიტიკული მედიის საწინააღმდეგო კამპანიის პროცესში გამოავლინა, 15 ივლისის მონაცემებით 29 დეაქტივირებულია.

# I. ტროლები

ტროლი არის პიროვნება, რომელიც ონლაინ სივრცეში რეალური იდენტობის მითითების გარეშე მოქმედებს, რათა სხვადასხვა ვებ-გვერდებზე, ფორუმებსა და სოციალურ ქსელებში მომხმარებელთა შორის ჯანსაღ დისკუსიას ხელი შეუშალოს. ტროლის მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი მისი რეალური იდენტობის დამალვაა. ონლაინ სივრცეში ის ყალბი პროფილის მეშვეობით მოქმედებს, სადაც მის შესახებ არსებული ინფორმაცია ან გაყალბებულია, ან საერთოდ არ არის ასახული. ეს შეიძლება იყოს ფოტოები, საკონტაქტო ინფორმაცია, მონაცემები განათლებისა და სამუშაო ადგილის, ასევე ჰობის და ინტერესების შესახებ.

ანტისაოკუპაციო აქციასთან მიმართებით ფეისბუკის მონიტორინგის პროცესში ერთი მხრივ სახელისუფლებო, მეორე მხრივ კი პრორუსული და სიძულვილის ჯგუფების ტროლები გამოვლინდნენ.

მონიტორინგის პერიოდში სულ 39 ტროლი გამოვლინდა, რომელთაგან 32 სახელისუფლებო, ხოლო 7 პრორუსულ და სიძულვილის ჯგუფებს წარმოადგენს.

## 1.1. სახელისუფლებო ტროლები

32 სახელისუფლებო ტროლიდან 18 სხვის იდენტობას იპარავს, ხოლო 14 საკუთარ იდენტობას მალავს. ამასთანავე ტროლების დიდი ნაწილი აქტიური, აგრესიული პოსტებით გამოირჩევა, ხოლო რამდენიმე პასიურია და მხოლოდ ხელისუფლების მხარდამჭერ კომენტარებს ტოვებს ცალკეულ პოსტებზე.


32 სახელისუფლებო ტროლი
იპარავს სხვის იდენტობას
Liza Iluridze
Anastasia Morozova
ლევან ნაკაშიძე
Вася Рогожинський
Giorgi Jikia
კრის ევანსი
Giga Mesxi
Арсен Арутюнов
Ani Kipiani
Bethany Cosentino
იკა დიასამიძე
Mustafa Fawzy
Merab Kakabadze
Giulio Berruti
Kato Saluqvadze
რუსლანა
გიორგი ლომაია
იგორ კოვალი
Mia Feru
Darya Zulevich
Levan Lkhinadze
მარატ გრიგორიანი
Davit Kharebava
Vitya Zorin
Nini Gogiberidze
ალექსანდრია მორგანი
Mari Shengelia
Anushka Sharma
Eka Tlashadze
Irma Burnatseva
Lamara Gamcemlidze
ტატიანა მასლიუკი.
Rezo Oqropiridze
ვიაჩესლავ დანჩი
Zura Kakablishvili
Orxan Mirzayev
მალავს იდენტობას
ნინელი ადამია
სალო ტალახაძე
Giorgi Natroshvili
Zurab Nakeuri
სანდრა დარჩანია
Ertaozi Jurkvetidan
თაკო სახოია
ლემუელ სხვა
ელენიკო დადიანი
Dato Axvlediani
Bom Bora
Ia Jayeli
Maka Makrine Tbilisi

| | | |
|---|---|---|
| 1 | Liza Iluridze   | Vkontakte-ს პროფილი Anastasia Morozova, ჰადერა, ისრაელი  |
| 2 | ლევან ნაკაშიძე   | ფეისბუკ პროფილი Вася Рогожинський, ვარშავა, პოლონეთი   |
| 3 | Giga Mesxi   | Vkontakte-ს მომხმარებელი Арсен Арутюнов, პიატიგორსკი, რუსეთი   |
| 4 | გიორგი ლომაია   | უკრაინელი მოდელი იგორ კოვალი (ინსტაგრამი)     |

<table>
<tr>
<td>5</td>
<td>

Eka Tlashadze







</td>
<td>

Irma Burnatseva, ჩიტუნგვიზა, ზიმბაბვე. მოწონებული აქვს ზუგდიდის საარჩევნო უბნის #83 ფეისბუკ გვერდი



</td>
</tr>
<tr>
<td>6</td>
<td>

Mari Shengelia




</td>
<td>

ინდოელი მსახიობი Anushka Sharma



Anushka Sharma returned to India on Monday after enjoying a dreamy vacation in New Zealand

</td>
</tr>
<tr>
<td>7</td>
<td>

Nini Gogiberidze



</td>
<td>

ამერიკელი მოდელი ალექსანდრია მორგანი. მოწონებული აქვს ზუგდიდის 48 და ხულოს 2 საარჩევნო უბნის ფეისბუკ გვერდი




</td>
</tr>
<tr>
<td>8</td>
<td>

Davit Kharebava



</td>
<td>

Vkontakte-ს მომხმარებელი Vitya Zorin, მინსკი, ბელორუსი. მოწონებული აქვს ზუგდიდის საარჩევნო უბნის #3 ფეისბუკ გვერდი




</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 9 | Giorgi Jikia   | ამერიკელი მსახიობი კრის ევანსი. მოწონებული აქვს ბერას, ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერი გვერდები, ასევე ზუგდიდის 20 საარჩევნო უბნის ფეისბუკ გვერდი     |
| 10 | იკა დიასამიძე   | ფეისბუკ მომხმარებელი Mustafa Fawzy ეგვიპტიდან. მოწონებული აქვს ზუგდიდის 37 საარჩევნო უბნის, ქართული ოცნების მხარდამჭერი და ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ შექმნილი (ზუგდიდს ნაცების არ სჯერა, მახსოვს და სხვა) გვერდები.    |
| 11 | Kato Saluqvadze   | უკრაინელი მომღერლის რუსლანას ფოტო. მოწონებული აქვს ზუგდიდის 29 და ხულოს 2 საარჩევნო უბნის ფეისბუკ გვერდი |

<table>
<tr><td></td><td></td><td>
</td></tr>
<tr><td>12</td><td>Rezo Oqropiridze<br>
</td><td>Vkontakte-ს მომხმარებელი ვიაჩესლავ დანჩი, სუმგაითი, აზერბაიჯანი. მოწონებული აქვს ზუგდიდის 13 საარჩევნო უბნის ფეისბუკ გვერდი<br>
</td></tr>
<tr><td>13</td><td>Ani Kipiani<br>
</td><td>ამერიკული ბენდის Best Coast-ის წევრი Bethany Cosentino<br></td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 14 | Lamara Gamcemlidze<br><br> | Vkontakte-ს მომხმარებელი ოკსანა მასლიუკი. მოწონებული აქვს ზუგდიდის 27 საარჩევნო უბნის ფეისბუკ გვერდი<br><br> |
| 15 | Levan Lkhinadze<br><br> | Vkontakte-ს მომხმარებელი მარატ გრიგორიანი, კაპანი, სომხეთი. მოწონებული აქვს ხულოს 2 საარჩევნო უბნის ფეისბუკ გვერდი<br><br> |
| 16 | Merab Kakabadze<br><br> | იტალიელი მსახიობი Giulio Berruti. მოწონებული აქვს ზუგდიდის 48 და ხულოს 2 საარჩევნო უბნის ფეისბუკ გვერდი<br>   |

<table>
<tr>
<td>17</td>
<td>Zura Kakablishvili<br><br></td>
<td>ფეისბუკ პროფილი Orxan Mirzayev, ბაქო, აზერბაიჯანი.<br><br>მოწონებული აქვს ზუგდიდის 35 საარჩევნო უბნის ფეისბუკ გვერდი<br><br></td>
</tr>
<tr>
<td>18</td>
<td>Mia Feru<br><br></td>
<td>Vkontakte-ს მომხმარებელი Darya Zulevich, მინსკი, ბელორუსი<br><br></td>
</tr>
<tr>
<td>19</td>
<td>ნინელი ადამია<br></td>
<td>სამი სრულიად განსხვავებული პროფილი აქვს, მოწონებული აქვს ზუგდიდის #3-5, 7-8 საარჩევნო უბნების ფეისბუკ გვერდები<br><br><br></td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td>20</td>
<td>

[სალო ტალახაძე]




</td>
<td>

ორი განსხვავებული პროფილი აქვს, მოწონებული აქვს ზუგდიდის #1-5, 7-8 საარჩევნო უბნების ფეისბუკ გვერდები




</td>
</tr>
<tr>
<td>21</td>
<td>

სანდრა დარჯანია




</td>
<td>

მალავს იდენტობას, იწონებს ზუგდიდის #2-8, 79-80, 83 და 87 საარჩევნო უბნების ფეისბუკ გვერდეს




</td>
</tr>
<tr>
<td>22</td>
<td>

თაკო სანაია




</td>
<td>

მალავს იდენტობას, მოწონებული აქვს ზუგდიდის საარჩევნო უბანი 40




</td>
</tr>
<tr>
<td>23</td>
<td>

ელენიკო დადიანი




</td>
<td>

მალავს იდენტობას

</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 24 | Mari Kikaleishvili<br> | მალავს იდენტობას |
| 25 | Giorgi Natroshvili<br> | მალავს იდენტობას, მოწონებული აქვს ზუგდიდის 7 საარჩევნო უბნის ფეისბუკ გვერდი<br><br>კახა მჭედლიძის ფოტო<br> |
| 26 | Ertaozi Jurkvetidan<br> | მალავს იდენტობას |
| 27 | Bom Bora<br> | მალავს იდენტობას |

| | | |
|---|---|---|
| 28 | [Zurab Nakeuri]<br><br> | მალავს იდენტობას |
| 29 | ლემუელ სხვა<br><br> | საკუთარი იდენტობის დამალვის მიზნით იყენებს ვენესუელის ყოფილი პრეზიდენტის უგო ჩავესის ფოტოს, არ აქვეყნებს პირად ფოტოებს |
| 30 | Dato Axvlediani<br><br> | მალავს იდენტობას, ერთიდაიგივე სახელით და ვიზუალით აქვს 2 ფეისბუკ პროფილი<br>https://www.facebook.com/bdaviti<br>https://www.facebook.com/dato.akhvlediani.129 |
| 31 | [Ia Jayeli]<br><br> | მალავს იდენტობას |
| 32 | Maka Makrine Tbilisi<br><br><br><br> | საკუთარი იდენტობის დამალვის მიზნით იყენებს მსახიობ ლიკა ქავჟარაძის ფოტოს, არ აქვეყნებს პირად ფოტოებს. გვერდის ქავერად შს მინისტრის გიორგი გახარიას ფოტო აქვს განთავსებული |

32-დან 16 ტროლს მოწონებული აქვს ხულოს და ზუგდიდის სხვადასხვა საარჩევნო უბნების ფეისბუკ გვერდები. ყველაზე მეტი ასეთი გვედრი (48) მერაბ კაკაბაძის და ნინო გოგიბერიძის პროფილებს აქვთ მოწონებული.




აღნიშნულ გვერდებზე ძირითადად 2019 წლის 19 მაისს ხულოსა და ზუგდიდის შუალედურ არჩევნებზე საარჩევნო უბნებზე და მიმდებარე ტერიტორიებზე გადაღებული სამოყვარულო ვიდეოკადრებია განთასვებული. რამოდენიმე ვიდეოში გაცხადებულია, რომ ვიდეოს ტვ “იმედის” სტრინგერები იღებდნენ. აღსანიშნავია, რომ ქართულმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა შუალედურ არჩევნებზე რამდენიმე უბანზე ტვ “იმედის” სტრინგერების აკრედიტაციის გარეშე ყოფნის ფაქტები დააფიქსირეს. ქვემოთ წარმოდგენილ სურათზე ხულოს #22-32 საარჩევნო უბნის ფეისბუკგვერდზე განთავსებული ვიდეოს კადრია, სადაც ავტორი თავს მუხრან გორგაძედ, ტვ “იმედის” სტრინგერად წარადგენს.



გარდა საარჩევნო გვერდებისა, სახელისუფლებო ტროლები ძირითადად იწონებდნენ ქართული ოცნების მხარდამჭერ პარტიულ, ასევე ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ შექმნილ ისეთ ფეისბუკ გვერდებს, როგორიცაა “ერთიანი პროვოკაციული მოძრაობა”, “ამხილე”, “ნაცი კლავს”, “ტერენტი გლდანელი”, “ზუგდიდს ნაცების არ სჯერა” და სხვა.















ზოგიერთი სახელისუფლებო ტროლი აქციამდეც იყო ჩართული როგორც საერთაშორისო და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციის, ასევე პოლიტიკური ოპონენტებისა და TBC ბანკის ერთ-ერთი მფლობელის, მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ კამპანიაში. მაგალითად, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის ეკა გიგაურის წინააღმდეგ პოსტი ლევან ნაკაშიძის პროფილით გამოქვეყნდა, რომელიც პოლონელი Вася Рогожинський-ს ფოტოს იპარავს.







ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევების წინააღმდეგ ფეისბუკ მომხმარებელი რეზო ოქროპირიძე პოსტავდა, რომელიც Vkontakte-ს მომხმარებლის სუმგაითელი ვიაჩესლავ დანჩის იდენტობას იპარავს.






იმ ტროლების გარდა, რომლებიც მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ კამპანიაში წინა კვლევების შედეგად გამოვლინდა, ანტისაოკუპაციო პროტესტის წინააღმდეგ მობილიზებული ტროლების ნაწილი წარსულში TBC ბანკის საქმეზეც აქტიურობდა:







გამოიკვეთა ორი ტიპის სახელისუფლებო ტროლები: ერთი ნაწილი ღიად იყო ჩართული ანტისაოკუპაციო პროტესტის წინააღმდეგ კამპანიაში და თავიანთ მოსაზრებებს საკუთარ გვერდებზე გამოხატავდა; მეორე ნაწილი კი უფრო მხარდამჭერი ტროლების კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც ქართული ოცნების ხელისუფლების, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა მინისტრის ცალკეულ ინიციატივებს ან იწონებენ (ალაიქებს), ან მათთან დაკავშირებულ სიახლეებზე და პოსტებზე მხარდამჭერ კომენტარებს ტოვებენ.







Irakli Garibashvili
6 მაისი ·
პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური მდივანი ირაკლი ღარიბაშვილი საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საქართველოს მისიის დირექტორს ჯონ დიპიროს და ამავე ინსტიტუტის პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილეს ლადო რაზმაძეს შეხვდა.
შეხვედრისას "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" და საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტს შორის ურთიერთობასა და სამომავლო თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრეს


Irakli Garibashvili
15 აპრილი ·
"ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" პოლიტიკური მდივანი, ირაკლი ღარიბაშვილი სტუმრად გადაცემაში - იმედი Live
იმედი LIVE
22:44 პარტიის კაპიტალი
-40:18


Giorgi Jikia ძალიან აქტიურია ირაკლი რაც მობრუნდა, ტაკ დერჟატ
მომწონს · პასუხი · 9 კვირა
4


Zura Kakablishvili sasiamovnoa rom daubrunda politikas, warmatebebi baton iraklis
მომწონს · პასუხი · 12 კვირა
Daria Sladko Gaixaret da tsarmatebebs gisurvebt.


იკა დიასამიძე თქვენი არ ვიცი,მაგრამ მე მჯერა ამ ადამიანის და დიდი იმედიც მაქვს
მომწონს · პასუხი · 12 კვირა
1


Like
Follow
Share
Bidzina Ivanishvili & Media
@BidzinaIvanishviliMedia
Home
About
Videos
Posts
Events
Notes
Photos
Community
Create a Page
UEFA SUPER CUP
UEFA SUPER CUP
89
5 Comments 20 Shares
Like
Comment
Share
Most Relevant
Write a comment...
Rezo Oqropiridze ძალიან მაგარი გამოვიდა.
Like · Reply · 3y

სახელისუფლებო ტროლები აქციის დისკრედიტაციის მიზნით შემდეგ გზავნილებს ავრცელებდნენ:

აქციის დაკავშირება პრაიდთან, ლგბტ თემთან. მიზანმიმართულად ხდებოდა აქციის გეი პრაიდთან დაკავშირება და ჰომოსექსუალების რევოლუციად მონათვლა. გარკვეულ შემთხვევებში კი აქციის როგორც ნაციონალურ მოძრაობასთან, ასევე ლგბტ თემთან ერთდროულად დაკავშირება ხდებოდა. ასევე ვრცელდებოდა ჰომოფობიური კომენტარები როგორც საპროტესტო აქციებთან, ასევე რუსთავი 2-ის მენეჯმენტის და წამყვანის, გიორგი გაბუნიას მიმართებით, რომელმაც რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს პირდაპირ ეთერში, აგინა:













წიწელი ადამია
July 7 at 4:00 PM
ხვალ რუსთაველზე მდგომი ხალხი, გახარიას გადადგომას რომ ითხოვდა, პრაიდს მართავს.
დილით პრაიდი, საღამოს რუსთაველი, ასეთი დღის წესრიგია
MARSHALPRESS.GE
გახარიას გადადგომის მომხრეები მოქალაქეებს ამჯერად პრაიდზე ეპატიჟებიან
45
6 Comments 1 Share
Like
Comment
Share


Dato Axvlediani
7 ივლისი, 17:20-ზე
აი ვინ ითხოვს გახარიას გადადგომას.
MARSHALPRESS.GE
გახარიას გადადგომის მომხრეები მოქალაქეებს ამჯერად პრაიდზე ეპატიჟებიან


სალო ტალახაძე
July 7 at 6:58 PM
ძალიან კარგად გამოჩნდა უკვე ამ აქციების უკან ვინ დგას , წაცებმა ახლა ასე გადაწყვიტეს პროვოკაციის შემოგდება, აღარ დადის ხალხი მათ აქციებზე და პრაიდთან ერთად გადაწყვიტეს ისევ არეულობა გამოიწვიონ ქალაქში
ვინ ითხოვს გიორგი გახარიას გადადგომას
გიგა მაქარაშვილი -
LGBT აქტივისტი
რომელმაც პირდაპირ ეთერში მარიხუანა მოწია
ანა სუბელიანი -
LGBT აქტივისტი
რომელმაც 9 აპრილის მემორიალზე იცეკვა
ანანია გაჩეჩილაძე -
LGBT აქტივისტი
რომელმაც თამარ მეფე პრეზერვატივზე გამოსახა


Giorgi Natroshvili
July 7 at 7:07 PM
ლგბტ მარშის მომხრეები არიან სწორედ გახარიას მოწინააღდეგები , ვისაც მისი გადადგომა უნდა ესენი არიან არ მგონია ვიმეს ეჭვი ეპარებოდეს ამაში
4 ივლისი
მიშა მშვილდაძე პრაიდის ორგანიზატორებთან ერთად აქციაზე
7 ივლისი
თბილისი პრაიდმა ღირსების მარში დაანონსა
„თბილისი პრაიდის" ინფორმაციით, „ღირსების მარში" 8 ივლის
გაიმართება
TBILISI
PRIDE
3


Ertaozi Jurkvetidan
July 8 at 1:07 PM
უნდა ალაგმოს რუსთაველიდან გარყვნილი და გადაგვარებული ნაცსექტანტებისა და ელჯებეტელების კარვები!
24
1 Comment
Like
Comment
Share


Eka Tlashadze
Yesterday at 8:56 PM
გეი რევოლუციაო :((
მოუსმინეთ, რაში ყოფილა საქმე
MULTIMEDIA.GE
28,532 Views
ქართული სახელმწიფო
Yesterday at 7:54 PM
Like Page
ვითომ პოლიტიკას აპროტესტებენ და სინამდვილეში გეი რევოლუციას ვატარებთო
5
2 Shares


Merab Kakabadze
July 1 at 11:27 AM
ანა ჭანკოტაძე
June 30 at 7:28 AM
გურულ ბაბუს ეკითხებიან ,
- თბილისის აქციაზე წითლები არიან თუ თეთრები ?
- ცისფერები ბაბუ ,ცისფერები !
43
5 Shares


Ertaozi Jurkvetidan
July 4 at 2:21 PM
გულითა და სულით ემზადება დღევანდელი კონცერტისთვის.
აბა ღვთისმგმობელი ნაცსექტანტებთან და გადაგვარებულ ელჯიბიტელებთან ხომარ შერცხვება?
მე პატარა მიშას თქვენი გარყვნა მინდა!

**თაკო სანაია**
7 ივლისი, 16:34-ზე ·

საბოლოოს ჩამოითხლიშა ნიღაბი ნაცებმა,
პრაიდის ორგანიზატორების 100-ივე % ნაციონალური მოძრობის ( ორივე ფრთის)ლიდერები არიან,თუმცა რეგიონებში მათ მომხრეებთან ვერ ბედავდნენ მაგ თემის წამოწევას,
როგორც ირკვევა რეგიონებში მათი მომხრეებიც შოკშია

88 · 6 კომენტარი · 6 გაზიარება

**Liza Iluridze**
24 ივნისი, 13:47-ზე ·




15 · 3 კომენტარი

მომწონს · კომენტარი · გააზიარეთ

**Devid Lee** სხვა რამეს გამოივლებენ პირში, არ გაუჭირდებათ 😉
მომწონს · პასუხი · 2 კვირა · რედაქტირებული · 1

**Dato Axvlediani**
8 ივლისი, 19:32-ზე ·

პიდარასტები ითხოვენ გახარიას გადადგომას.




**Merab Kakabadze**
July 8 at 10:02 AM ·

დიდიხანია მესმის ფრაზები იმასთან დაკავშირებით რომ გახარია გადადგეს.... იმიტომ რომ გაბუანიას გვარამის და ნაც ბანდას ეშინიათ რომ გახარია სამართლიანია და ყველას ჩააყუდებს! რაც წუხელ მოვისმინე ამ პიდარასტისგან უფრო მეტად დავრწმუნდი რომ ქვეყანა საფრთხეშია... აუცილებლად უნდა იქნეს ზომები მიღებული მეგობრებო რომ ქვეყანაში იყოს სიმშვიდე და ჩვენი შვილების ახლობლების და ნათესავების სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნას! #რუსთავი2პროვოკატორია

75 · 10 Comments · 1 Share

აქციის დაკავშირება ოპოზიციასთან. სახელისუფლებო ტროლები აქციის მონაწილე აქტივისტებს და არასამთავრობო ორგანიზაციების ცალკეულ წარმომადგენლებს ოპოზიციასთან, ძირითადად კი ნაციონალურ მოძრაობასთან აკავშირებდნენ, ხოლო აქციის მონაწილეებს ფინანსური საზღაურის გამო მობილიზებულ ადამიანებად წარმოაჩენდნენ.












აქციების რევოლუციად, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად წარმოჩენა. ტროლები საპროტესტო აქციების რევოლუციად და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად წარმოაჩენდნენ, რასაც მომიტინგეთა შორის სომეხი რევოლუციონერების ყოფნას უკავშირებდნენ. ასევე ახდენდნენ აქციის ძალადობრივად დაშლის გამართლებას.








**Giga Mesxi**
28 ივნისი, 21:18-ზე ·

ამ კადრების ნახვის მერე მივხვდი , რას გულისხმობდა გახარია როცა თქვა რომ დამიძახონ თუნდაც სისხლიანი ჯალათიო ..
გინდა სისხლიანი ჯალათი დაუძახოს უტვინო და დაზომბავებულმა ხალხმა და გინდა ეს აქცია შეაფასონ მშვიდობიან აქციად !
ფაქტი სახეზეა ,ეს აქცია იყო თავიდან ბოლომდე სახელმწიფო გადატრიალების და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოშლის მცდელობა და ამაში შეუშალა ხელი გახარიამ ბინძურ ნაციონალებს , საკუთარი რეპუტაციის შელახვის ფასად !
ეს კაცი არის 20 ივნისის გმირი !

YOUTUBE.COM
**20 ივნისის კადრები რომელიც არ გინახავთ**
20 ივნისის კადრები რომელიც არ გინახავთ



**გიორგი ლომაია**
June 28 at 9:12 PM ·

აი ამ კადრებს უყურეთ და ამის მერე კიდე ვინც მოითხოვთ გახარიას გადადგომას და იტყვით რომ ეს აქცია იყო მშვიდობიანი, ყველანი ან უტვინოები ხართ ან ქვეყნის მტრები!!! და ასეთ სიტუაციაში აქედან ნებისმიერი , არის დანაშაული და ხართ ჩვეულებრივი დამნაშავეები ! კიდე მოზომილად უმოქმედია პოლიციას , დედას უტირებდნენ ესეთ ცხოველებს ნებისმიერ კი არა - ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაშიც !

YOUTUBE.COM
**20 ივნისის კადრები რომელიც არ გინახავთ**
20 ივნისის კადრები რომელიც არ გინახავთ

64 · 5 Comments 12 Shares



**Mari Kikaleishvili**
30 ივნისი, 16:03-ზე ·

ვერ ავუარე გვერდი ამ პოსტს და ვრცელი კომენტარის დაწერას, იმიტომ რომ სრულიად უსამართლო შეფასებაა, ხელებაწეული უდანაშაულო ახალგაზრდები? თქვენ თუ არ გაქვთ ნანახი ჩვენ გვაქვს ნანახი როგორ ძალადობრივი იყო მომიტინგეების ქმედება საათობით , ნახეთ და გვითხარით რომელ ქვეყანაში დაანებებდნენ პოლიციელების ცემას და პარლამენტში შეჭრას ასეთ აგრესიულ ხალხს და კიდევ ამდენი საათი დაელოდებოდა პოლიცია მოთმინებით. დასახიჩრებას რაც შეეხება ამაზე უკვე ბევრჯერ ითქვა რომ იყო გადაცდომა, იყო დიახ მარგამ... იხილეთ მეტი

YOUTUBE.COM
**20 ივნისის კადრები რომელიც არ გინახავთ**
20 ივნისის კადრები რომელიც არ გინახავთ



**სალომ ტალახაძე**
25 ივნისი, 14:17-ზე ·

ყველამ უნდა ნახოს სინამდვილეში რა მოხდა, ნაციონალური მოძრაობის შტურმი წინა რიგებში !

9467 ნახვა

**მახსოვს/Makhsovs**
25 ივნისი, 13:59-ზე ·
გვერდის მოწონება

ეს კადრები არცერთ იქ მდგომ ახალგარდას არ უნახავს!

ნახეთ რაში გამოგიყენეს ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა! სანამ თქვენ უკანა რიგებში მშვიდობას სკანდირებდით, ისი...
იხილეთ მეტი













შს მინისტრის მხარდაჭერა, ხელისუფლების ქმედებების გამართლება. ვინაიდან ანტისაოკუპაციო აქციის მესამე მოთხოვნა "გავრილოვის ღამეს", 20 ივნისის საპროტესტო აქციის ძალის გამოყენების გამო გადადგომას შეეხებოდა, სახელისფულებო ტროლები მობილიზებულები იყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი გახარიას მხარდასაჭერად და ხელისუფლების მხირდან ძალის გამოყენებას ამართლებდნენ. ამასთანავე მხრადაჭერამ კიდევ უფრო ორგანიზებული სახე მიიღო 12 ივლისს მინისტრის ტვ პირველის გადაცემა "რეაქციაში" ინგა გრიგოლიასთან სტუმრობის შემდეგ, როდესაც ტროლები ერთი მხრივ, გახარიას

წარმატებულ ეთერს და ჟურნალისტის არაპროფესიონალიზმს უსვამდნენ ხაზს. ამასთანავე ხდებოდა როგორც ქრისტიანობით მანიპულირება (ვინც ქრისტიანია, დაუჭირეთ მხარი), ასევე ჰომოფობიური კონტექსტის შექმნა (გახარია არ მოსწონთ ლიბერალებს იმის გამო, რომ ის გარყვნილებისგან გვიცავს).

**თაკო სანაია**
1 სთ ·

მოკლეთ გუშინდელი შემდეგ დასკვნა
გახარია უფრო მაგარი ყოფილა ვიდრე გვეგონა!
ინგა სიმბოლოა იმის რომ ჟურნალისტიკა არ გვაქვს!
ნინო დანელია კი არის სიმბოლო იმის რომ! უფლებადაცველები არ გვყვს
-------------------------------------------------------
რეფორმა ჟურნალისტიკაში და არასამთავრობოზში

Darejan Narsia, Eli Gremeli და 75 სხვა    15 კომენტარი  1 გაზიარება

**Davit Kharebava**
16 სთ. ·

ირმამ-ინგამ თავისი საქმე ასე თუ ისე გააკეთა(პრინციპში ის ოცი კაცი გარეთ ვინც დგას ეგრე ფიქრობს) ყველანაირად ცდილობდა ემოციურ საუბარში გადაეყვანა და არა შინაარსობრივ/დეტალურ ანალიზში. მინისტრმა მე პირადად არცერთი კითხვა არ დამიტოვა პასუხგაუცემელი. ძალიან მარტივადაა საქმე კიდევ უფრო მარტივად ვიდრე წარმოგვედგინა, ის ანგაჟირებული ხალხი "ანტისაოკუპაციო" აქციას ამოფარებულები არადა კარგად ვიცით ვინც არიან არ შეწყვეტენ მინისტრის დისკრედიტაციას, სინამდვილეში კარგად აცნობიერებენ თუ რას ლაპარაკობს გახარია, ის რომ მან თავისი რეიტინგი და იმიჯი საფრთხის ქვეშ დააყენა და პირველ რიგში პატივი სცა კანონს ეს უდიდესი რამ არის, ბევრი ვერ გაიგებს და არც არის საჭირო ყველამ გაიგოს. სიმართლე მინისტრის მხარეს არის!

176    41 კომენტარი  3 გაზიარება

**Merab Kakabadze**
June 22 at 10:24 AM ·




224    63 Comments  7 Shares

**Mari Shengelia**
July 8 at 2:21 AM ·

გახარისა ყველა მაგიჩებელი და მაგის გადადგომის მომთხოვნი რო გახარიას დასაცავი ხდება თუ ნახეთ? ერთი სხვა ვინ მოახერხებდა მაგის გაკეთებას მაგრად მაინტერესებს, რომელი მინისტრი დაიცავდა ესე ასეთ პროვოკატორ არხს რომელსაც დღის გეგმად აქვს გახარიაზე ტყუილის გავრცელება




Mari Shengelia
2 სთ. ·
Nika Gvaramia ბოდიალზე რო გადასულხართ, აგერ კადრები რაზეც ილაპარაკა პროკურორმა. სად არის აბა სიყალბე??
21:07-დან
588 ნახვა
საქართველოს პროკურატურა / The Prosecution Service of Georgia
3 სთ. ·
გვერდის მოწონება
მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით გვსურს საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია ნიკანორ მელიას საქმეში ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებთან, მათ შორის ვიდეო მტკიცებულებებთან დაკავშირებით.
ვრცლად : http://pog.gov.ge/geo/news?info_id=2114


Ertaozi Jurkvetidan
July 5 at 8:28 PM ·
გიორგი კარგი ადამიანი და მაგარი მინისტრია!
გახარია არ უნდა გადადგეს!!!!
გააზიარე თუ ხარ ქრისტიანი!!!!!!!!
138
17 Comments 102 Shares


Ia Jayeli
24 ივნისი, 22:14-ზე ·
მალხაზ ხაბაზი
24 ივნისი, 02:25-ზე
ბატონ გიორგი გახარიას მხარდაჭერა სჭირდება,მე მხარს ვუჭერ მას, ლიბერალებს არ მოსწონთ მინისტრი, რომელიც უზნეობას არ უჭერს მხარს და ხალხის მხარეზეა, ამიტომ უნდათ მისი მოშორება,რომ მათ ჭკუაზე იპარპაშონ, გახარიას გადადგომა ნიშნავს ლგბტ -ს და ლიბერალების გამარჯვებას. გააზიარეთ ვინც მეთანხმება. სანამ კომენტარს დაწერთ, ტექსტი წაიკითხეთ ბოლომდე. ვინც ახალგაზრდები დააშავა ყველა აგებს პასუხს კანონის წინაშე, თავში ესროლეთ და თვალი გამოსთხარეთ მინისტრს არ დაუვალებია და ვინც ეს გააკეთა მიზან მიმართულად, ისინი თავიდანვე ითხოვდნენ გახარიას გადადგომას, პოლიციელებშიც შესაძლოა იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც გახრიას გადადგომა უნდათ და სპეციალურად უმიზნებდნენ თავში და სახის არეში,ყველა უნდა იყოს გამოაშკარავებული და კანონის სრული სიმკაცრით დასჯილი ახალგაზრდების დასახიჩრებისთვის.
















**რუსეთის მიმართ ომის და ეკონომიკური სანქციების შიში.** რუსთავი 2-ის წამყვანის გიორგი გაბუნიას მიერ ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში რუსეთის პრეზიდენტის გინებას ტროლების მხრიდან შიშების დათესვა მოჰყვა. ვრცელდებოდა მოსაზრება, რომ ჟურნალისტის ქმედება რუსეთის პროვოცირებას ახდენდა, როგორც საომარი მოქმედებების, ასევე ეკონომიკური სანქციების მხრივ. ამასთანავე პუტინის მხრიდან დუმის გადაწყვეტილების რევიზია და საქართველოს მიმართ საქნციების დაწესების ინიციატივის შეჩერება პოზიტიურად იყო შეფასებული. ისმოდა მოწოდებები რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის გინების გამო, შსს-ს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს რეაგირება მოეხდინათ, ასევე ხდებოდა რუსთავის 2-ის ოფისის წინ პროტექსტის გამოსახატავად ხალხის მობილიზება.



Bom Bora
8 ივლისი, 01:30-ზე ·

ლიდერი 41
7 ივლისი, 22:35-ზე ·
გვერდის მოწონება

რუსთავი2-ის ჟურნალისტი გიორგი გაბუნია პროვოცირებს და რუსეთს აიძულებს მოახდინოს საქართველოზე ინტერვენცია.

მოვუწოდებ შს მინისტრს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მიხედოს სახელმწიფო მტერს, რომელსაც საქართველოს განადგურება სწყურია.



Zurab Nakeuri
June 25 at 8:26 AM ·

საქართველოს ყავს ერთი დიდი მტერი - რუსეთი, ..
და უამრავი პატარ-პატარა კიდევ...

ამ დიდმა მტერმა (რუსეთმა) სირია რომ დაგვიტრიალოს საქართველოში რომელი ხართ მზად ?????????
მზად რომელი ხართ მეთქი???????!!!!!!!!!!
გამოდით ერთი,.. უნდა დაგთვალოთ????

(მსგავსი გეგმის არსებობაში ეჭვი ვინმეს ეპარება? თუ აქმდე მსგავსი არაფერი უკადრია პუტინს???)

ბავშვებს არ ესმით და არც არიან ვალდებული ამდენი პოლიტიკა იცოდნენ???
ამ უფროსებს რაღა დაგემართათ???
არ გვეყო რაც 30 წელი ვეწამეთ????

ამ სიმწრით მოპოვებული თავისუფლება ეხლა ჩავაბაროთ რუსებს????

არ შეიძლება რომ არჩევნების გზით ვაგვაროთ ურთიერსადავო საკითხები?

თქვენი უტვინო და ყეყეჩი დედაც!!!! ყველასი ვისაც საქართველოს აოხრება გინდათ,.. ყველასი !!!!! გინდა ჩემიანი იყავით და გინდა სხვისი!!!!!!

83 11 Comments 15 Shares

Like Share



ლემუელ სხვა
7 ივლისი, 21:22-ზე ·

Giorgi Gabunia რუსეთთან ომს იწყებს და ვინც მაგის ლაშქარში ხართ გამომიარეთ, ხმიადებს, ხმელ ხორცს და ბებიაჩემის ავგაროზს გაგატანთ - ატომური სახელმწიფოების ფსიქოპათი ჰედების ვერბალურ გინებას ტეტრიონული იარაღად გარდაქმნის გადმოცემის მიხედვით.



Bom Bora
June 22 at 10:49 AM ·

N.t. Tordia shared a link to the group: ყველაფერი ქალებისთვის.
June 22 at 10:29 AM

„ქართველების თავშეყრის ადგილებს ამოწმებენ და ვისაც ოდნავ რამე დარღვევა აქვს საბუთთან დაკავშირებით, დევნიან..“

PROGRESSNEWS.GE
ქართველები მასობრივი დეპორტაციის მოლოდინში – რუსეთში უსაბუთოების დევნა დაიწყო

1

Like Comment Share



ნინელი ადამია
21 ივნისი, 18:48-ზე ·

აი მაინც მიაღწიეს, ხო ამდენს ცდილობდნენ ნაცები და საბოლოოდ მიაღწიეს, რომ რუსეთის წისქვილზე დაესხათ წყალი

ნაცებო!! 20% არ გეყოთ, დანარჩენი საქართველოც რუსეთს უნდა ჩააბაროთ ხო?

გახარია ამ სიტუაციაში არც გაბედო გადადგომა! ეგ იქნება სახელმწიფოს ყველაზე დიდი კრიზისი და წარმოდგენაც არ მინდა რას შეიძლება დატრიალდეს მერე!

1TV.GE
ვლადიმერ პუტინმა საქართველოში შექმნილი ვითარება რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომაზე განიხილა

38 6 კომენტარი 6 გაზიარება

**თაკო სანაია**
9 ივლისი, 15:20-ზე

„რუსეთში ატამი მიმაქვს“, „კონიაკი მიმაქვს, მესამე დღეა აქ ვდგავარ“ - რას ყვებიან მძღოლები
-----
ხოდა მიადექით რუსთავი2 და გადაგიხდიან ზარალს, წარმოდგენა გაქვთ მიანც რამხელა ხელფასები აქვტ?
100 000 ლარი გვრამიას თვეში
გაბუნიას 39 000
და ასე შემდეგ

76 · 3 კომენტარი 6 გაზიარება

**ნიწელი ადამია**
9 ივლისი, 21:41-ზე

აშკარაა რომ ნაცებმა როგორც ევრონაცებმა, ქვეყნის ეკონომიკას და მის სამომავლო პერსპექტივებს, სანამ უნდა გაგრძელდეს ეს პროვოკაციების სცენარი?

არც აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას და აღიარებენ, უბრალოდ არ აინტერესებთ .

მთავრობის და მოსახლეობის ფხიზელი ჯგუფის ადეკვატურმა ქმედებებმა შეძლო ამ დარტყმების არიდება და ეს არის ფაქტი.

31

**ნიწელი ადამია**
7 ივლისი, 22:46-ზე




**Giorgi Jikia**
7 ივლისი, 23:39-ზე




**Eka Tlashadze**
8 ივლისი, 00:37-ზე

სასწრაფოდ ამ წამებში




ორშ., 8 JUL
**ჩვენ გვინდა სტაბილურობა**
Rustavi 2 · Tbilisi
★ დაინტერესებულია
გაზიარებულია ჯგუფში "აქტუალურ...

**Ertaozi Jurkvetidan**
Yesterday at 9:38 AM

რუსეთუმე და პუტინისტი ცხოვრებაში არ ვყოფილვარ, მარა სიმართლე უნდა ითქვას ყოველთვის!
საქმე იმაშია რომ უნიკალური შემთხვევის მოწმენი გავხდით ქართველები ანუ ნაცსექტამ თავისი ანტისახელმწიფოებრივი პროვოკაციებით ქართველები გაგვწირა განსაცდელისთვის, ხოლო არაქართველმა პუტინმა კი დაგვინდო და არ მოაწერა ხელი ისეთ დოკუმენტს, რომელიც კიდევ ერთ დარტმას მიაყენებდა ჩვენს ეკონომიკას.
კიდევ ერთხელ გეუბნებით რომ მე არა ვარ პუტინისტი, არამედ მე უბრალოდ მწარე სიმართლე ვთქვი რომ ქართველმა გვიპოდლა რუსმა კი დაგვინდო 😊

25 · 5 Comments

**Merab Kakabadze**
July 8 at 10:58 PM

უნდა გაუქმდეს რუსთავი2 და დაისაჯოს ყველა ის პირი ვინც პროვოკაციორობს!
ნამდვილი ადამიანები ბევრნი ვართ და ეს პიდარასტები არ უნდა დავისვათ თავზე!!!

57

სხვა მედიების წინააღმდეგ. ტროლების სამიზნე რუსთავი 2-ის გარდა ტვ პირველი და რადიო თავისუფლება იყო. ერთ შემთხვევაში სახელისუფლებო ტროლი სხვა ფეისბუქ მომხმარებლების რადიო თავისუფლების წინააღმდეგ მობილიზებას პატრიოტთა ალიანსის დასაცავად ახდენდა.



Ertaozi Jurkvetidan
19 სთ. ·

ტვ პირველის თანამშრომლებო ამ ნაცსექტას რომ აპრავებთ არ გეშინიათ ერთ მშვენიერ დღეს ხელი ან ენა რომ გაგიხმეთ?
ხომ იცით კაცის წყევლა რაფერია.

31 · 1 გაზიარება



თაკო სანაია
საუკეთესო მხარდამჭერი · 7 ივლისი, 19:25-ზე ·

რადიო თავისუფლების "ძალით პრადვინუტები" დასცინის ქართველ ხალხს
( შედით ერთი ორი სიტყვით დაუწერეთ და კითხეთ რითი არიან თვითონ უკეთესები?)

60 890 ნახვა

რადიო თავისუფლება
7 ივლისი, 18:53-ზე ·

"პატრიოტთა ალიანსის" წევრები სპორტის სასახლეში შეიკრიბნენ და ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე ისაუბრეს.



ლემუელ სხვა
7 ივლისი, 03:39-ზე ·

რადიო თავისუფლებამ, პარლამენტის შტურმი კი არა სახელმწიფო დაწესებულების დაკავებაო ❤️
რადიო თავისუფლება სკვოტერები იყვენ უბრალოდ ის პატიოსანი ხალხი 21-ში ღამით ხო ვიცი და იქნებ მაგ კუთხით გაგეშუქებინათ 😀
PS. ისე ეს თუ გახსოვდათ ვინმეს, მიშა რომ ბაიკერივით ტყავის კურტკით არის საარჩევნო პლაკატებზე ))

პროტესტის ევოლუცია - რა და როგორ მუშაობს?

**სახელმწიფო დაწესებულებების დაკავება** - 2003 წლის 23 ნოემბერს პარლამენტის წინ შეკრებილი საპროტესტო აქციის მონაწილეები შევიდნენ პარლამენტში და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს არ მისცეს ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის გახსნის საშუალება. საპროტესტო აქციის მონაწილეები ასევე შევიდნენ პრეზიდენტის კანცელარიის შენობაში.

## 1.2. პრო-რუსული და სიძულვილის ჯგუფების ტროლები

მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა 7 ტროლი, რომელთა პოსტები/კომენტარები პრო-რუსული ან/და სიძულვილის შემცველია. პრო-რუსი და სიძულვილის ჯგუფების ტროლები სახელისუფლებო ტროლებისგან განსხვავებით სხვისი იდენტობის მოპარვის ნაცვლად, საკუთარ იდენტობას მალავენ. 7 ტროლიდან 1-ს მოწონებების განყოფილება დახურული აქვს. 6 ტროლის მიერ გვერდების მოწონებების ანალიზიდან ჩანს, რომ ტროლების ნაწილი თანაბრად იწონებს კრემლის მედიის, ასევე სიძულვილის ჯგუფების არაერთ გვერდს. 6-დან 4 ტროლს მოწონებული აქვს გვერდები Россия - Российская Федерация - Russia, მსოფლიოო საოჯახო კონგრესი X, ალტ-ინფო, ყბადაღებული საზოგადოება, ანტილიბერალური კლუბი, ვერ დაბრუნდებიან.



| | | |
|---|---|---|
| 1 | [დაათ ცაბაძე]<br><br> | მალავს იდენტობას. პროფილის ფოტო ღია წყაროებში სხვადასხვა ვებ-გვერდებზე იძებნება, მათ შორის odnoklassniki.ru-ზე არსებულ პროფილზე "[russian soldiers]".<br><br><br>გარეკანზე არსებული ფოტოზე რუსეთში მცხოვრები Elena Deligioz-ია, რომელიც სამხედრო ფორმაში გადაღებულ ფოტოებს აქვეყნებს.<br><br><br>მოწონებული აქვს კრემლთან დაკავშირებული პოლიტიკოსების და მედიების, ასევე სიძულვილის გამღვივებელი მედიები და Facebook გვერდები. მათ შორის: Nino Burjanadze - ნინო ბურჯანაძე, Sputnik საქართველო, RT, ВЕСТИ.ru, Россия - Российская Федерация - Russia, მსოფლიო საოჯახო კონგრესი X , Союз Советских Социалистических Республик საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, პოლიტიკანო, ასავალ-დასავალი, მარშალპრესი. სიძულვილის გვერდებიდან მოწონებული აქვს Resistance/წინააღმდეგობა, კარდჰუ, ანტილიბერალური გვერდი, ლიბერალების დასაცინი page, ყბადაღებული საზოგადოება, ანტილიბერალური კლუბი, Geo Pepe. ასევე მოწონებული აქვს ოპოზიციის მადისკრედიტირებელი გვერდი "ვერ დაბრუნდებიან". |
| 2 | [Ika Irakli]<br><br> | მალავს იდენტობას. საცხოვრებელ ადგილად სანკტ-პეტერბურგი აქვს მითითებული. მოწონებული აქვს კრემლის მედიის გვერდები, როგორიცაა სპუტნიკ საქართველო და RT, ასევე გვერდები Vladimir Putin და Россия - Российская Федерация - Russia. ასევე იწონებს სიძულვილის გამაღვივებელ მედიასა და Facebook გვერდებს: კარდჰუ, ალტ-ინფო, პატრიოტული სულისკვეთება, ფსევდოლიბერალების მხილება, თურქეთი ოკუპანტია, ყბადაღებული საზოგადოება, ნუ გამოლიბერალდები იაზროვნე, Geo Pepe. ორგანიზაციებიდან მოწონებული აქვს რუსული პროექტის მსოფლიო ოჯახების X კონგრესის გვერდი, რომელიც თბილისში ჩატარდა, ასევე გურამ ფალავანდიშვილის ორგანიზაცია "ბავშვთა უფლებების დაცვის |

| | | |
|---|---|---|
| 4 | | საზოგადოების” გვერდი. ასევე მოწონებული აქვს ოპოზიციის მადისკრედიტირებელი გვერდი “ვერ დაბრუნდებიან”. |
| 3 | გიორგი გურჯი გიაური<br><br> | მალავს იდენტობას. საცხოვრებელ ადგილას მითითებული აქვს ქობულეთი. პროფილის ბმულში ვხვდებით განსხვავებულ სახელს *davit.davit.39750*. აქვეყნებს სტალინის ფოტოებსა და ციტატებს.<br><br><br><br><br>მოწონებული აქვს საბჭოთა კავშირის მიმართ ნოსტალგიის გამაღვივებელი გვერდი СССР. Прекрасная страна, в которой мы жили (სსრკ. მშვენიერი ქვეყანა, რომელშიც ცვენ ვცხოვრობდით), ასევე გვერდები Россия - Российская Федерация - Russia, Моя Москва, Владимир Путин, მსოფლიო საოჯახო კონგრესი X.<br><br>კრემლის მედიებიდან მოწონებული აქვს NTV, Sputnik საქართველო, RT. კრემლთან დაკავშირებული ქართული გამოცემებიდან მოწონებული აქვს საქართველო და მსოფლიოს, ობიექტივის, Politicano-ს გვერდები. ქართული მედიებიდან იწონებს ქსენოფობიური და ჰომოფობიური სარედაქციო პოლიტიკის მქონე “ასავალ-დასავალის” გვერდს.<br><br>სიძულვილის ჯგუფების გვერდებიდან მოწმებული აქვს ყბადაღებული საზოგადოება, ანტილიბერალური კლუბი, ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება, ბათუმი აზიზიეს მეჩეთის გარეშე, ნუ გამოლიბერალდები იაზროვნე. |
| 4 | ანდრია ბლუმი | მალავს იდენტობას. პროფილის ფოტოდ გამოქვეყნებული აქვს რუსი სასულიერო პირის მიტროპოლიტი ანტონის ფოტო.<br>მოწონებული აქვს გვერდები ანტილიბერალური კლუბი, |

| | | |
|---|---|---|
| |  | ალტ-ინფო, პატრიოტული გვერდი, POS TV. |
| 5 | [Sonam Nguvien](#)<br> | მალავს იდენტობას. მოწონებების სექცია დახურული აქვს. აქციებთან დაკავშირებით არ აქტიურობს პირად კედელზე, თუმცა პრო-რუსული და ანტი-დასავლურ გზავნილებს კომენტარებში წერს. განსაკუთრებით აქტიურია რადიო თავისუფლების მიერ გამოქვეყნებული პოსტების ქვეშ. |
| 6 | [დაჩი ქართველი](#)<br><br><br> | მალავს იდენტობას და არ აქვეყნებს მაიდენტიფიცირებელ ფოტოებს. პროფილის ფოტოდ გამოყენებული აქვს ჩე გევარას ფოტო. სამუშაო ადგილად მითითებული აქვს გვერდი, რომელიც პალერმოს უნივერსიტეტის არაოფიციალური გვერდია და გაცვლით პროგრამებზე, ონლაინ სწავლებაზე და სტუდენტურ ცხოვრებაზე კონცეტრირდება. გვერდის ადმინისტრატორმა “მედიის განვითარების” ფონდს განუცხადა, რომ დაჩი ქართველი მათთვის არ მუშაობს.<br><br><br>მოწონებული აქვს საქართველოს სლავ ხალხთა ეროვნული კონგრესის დირექტორის ლიკა ზახაროვას, RT-ის, Новости Первого канала, სტალინის და მსოფლიო საოჯახო კონგრესი X-ის და პოლიტიკანოს გვერდები. ასევე მოწონებული აქვს სიძულვილის ჯგუფების გვერდები წინააღმდეგობა, პატრიოტული გვერდი, ლიბერასტული სენი, ალფა-დომინანტი, ალტ-ინფო, პატრიოტული სულისკვეთება, ფსევდოლიბერალების მხილება, ანტილიბერალური გვერდი, ყბადაღებული საზოგადოება, ანტილიბერალური კლუბი, რიტორიკა, ნუ გამოლიბერალდები იაზროვნე, ეროვნული ფრონტი. ოპოზიციის მადისკრედიტირებელი გვერდებიდან მოწონებული აქვს გვერდები ნაც-სექტა, ვერ დაბრუნდებიან, ნაც სექტა education. |
| 7 | [Giorgi Beria](#) | არ აქვს გამოქვეყნებული პირადი ფოტოები და ინფორმაცია. პროფილად ლეონიდ ბრეჟნების ფოტოს იყენებს, ხოლო სამუშაო ადგილას მითითებული აქვს “საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური |







კომიტეტის გენერალური მდივანი". აქვს მეორე პროფილიც იმავე სახელით. მართავს გვერდს Kidobani News, სადაც Geworld-ისა და პოლიტიკანოს მასალებია გამოქვეყნებული.

მოწონებული აქვს კრემლის მედიების გვერდები, მათ შორის NTV, Sputnik საქართველო და ВЕСТИ.ru. ქართული მედიებიდან მოწონებული აქვს ასავალ-დასავალი და პრიმაკოვის ფონდთან დაკავშირებული პოლიტიკანო. ასევე იწონებს გვერდებს Россия - Российская Федерация - Russia და Владимир Путин сегодня.
ოპოზიციის მადისკრედიტირებელი გვერდებიდან მოწონებული აქვს გვერდი "ვერ დაბრუნდებიან".

იდენტიფიცირებული ტროლები 20 ივნისიდან 15 ივლისის პერიოდში მათ პირად თაიმლაინსა თუ სხვადასხვა პოსტის ქვეშ კომენტარებში შემდეგ ნარატივებს ავრცელებდნენ.

**აქციის დაკავშირება პრაიდთან, ლგბტ თემთან.** აქციების პარალელურად პრო-რუსული და სიძულვილის ჯგუფების ტროლები აქციების ორგანიზატორებისა და მონაწილეების მარგინალიზაციის სხვადასხვა ნარატივების გაღვივებით ცდილობდნენ. ერთ-ერთი სტრატეგია, ისევე როგორც სახელისუფლებო ტროლების შემთხვევაში, აქციის მონაწილეების ლგბტ თემის წევრებად წარმოჩენა იყო.



ანდრია ზლუმი
June 21 at 10:46 PM ·
ირაკლი ჯანჯღარაშვილი
June 21 at 8:38 PM
ეს რო იქ დგას უკვე ნათელია რა აქციაც არი
ბარიგები და LGBT სერია მეორე
4
3 Comments 1 Share




დაათ ცაბაძე
12 hrs ·
ამდენი გეია რუსთაველზე, ევროპაში აუცილებლად მიგვიღებენ! გმირებს დიდება!
109
21 Comments 3 Shares
Like
Share




ანდრია ზლუმი
June 21 at 10:07 PM ·
+2
Daviti Tavartkiladze
June 21 at 9:54 PM
დასკვნები თავად გამოიტანეთ თუ რასთან გვაქვს საქმე




Ika Irakli
10 hrs ·
გნაც-ანალებო, ლიბერასტებო, ნარკამანებო, უსაქმურებო, ბოზებო, გაურკვეველი სქესის და ორიენტაციის ქათმებო, მომავალ პროვოკაციამდეეე!
7
Like
Share







შუღლის გაღვივება. ტროლები შუღლის გაღვივებას ეთნიკური და რელიგიური ნიშნით ცდილობდნენ. ერთი მხრივ, ხდებოდა ანტი-საოკუპაციო აქციების მუსლიმებთან/სომხეთის მოქალაქეებთან დაკავშირება, მეორე მხრივ გვხვდებოდა შუღლის გაღვივება ეკონომიკისა და ტურიზმის კონტექსტში და პოტენციური ტურისტების გამოყოფა წარმომავლობის მიხედვით.















ამავე ტროლების მიერ ხდებოდა აქციის მოთხოვნებიდან ყურადღების გადატანა ცნობილი ქსენოფობიური გზავნილით, თითქოს ბათუმი თურქეთად გადაიქცა და თურქეთი და აზერბაიჯანი საქართველოს ტერიტორიებს იტაცებენ.


გიორგი გურჯი გიაური
June 23 at 4:48 PM ·
საქართველოს ულამაზესი ადგილები
June 23 at 6:15 AM
ორი სახელმწიფო რომელიც საქართველოს ტერიტორიების მიტაცებას ანხორციელებს და მაინც მეგობარს ეძახიან..
აბა პარლამენტთან მდგარნო სირთა ბანდავ ესაც გააპროტესტეთ მაქ რ...
See More


Giorgi Beria is feeling annoyed with დალი ვარდიაშვილი ვარდიაშვილი and 63 others in Moscow, Russia.
July 1 at 7:16 PM ·
БАТУМ - Турецкий регион Грузии!!! ....
========
ამას არცერთ ქართულ ეგრეთწოდებულ არხზე ვერ ნახავთ, თუ რეალურად დღეს ვისია აჭარა და კერძოდ ბათუმი!!! ...
ამ თემაზე ყველას პირში თევზებივით წყალი აქვთ ჩაგუბებული და სხვა ათას გასართობ ან კრეტინულ და სრულიად უმიზნო თემებზე საუბრობენ!!! ...
Толстой. Воскресенье
BERIA
Watch together with friends or with a group
Start Watch Party
134
79 Comments 508 Shares


Giorgi Beria — feeling annoyed with მაკა იმერლიშვილი and 48 others in Moscow, Russia.
June 28 at 6:25 PM ·
ეს პოსტი ზუსტად ერთი წლის წინ დავდე და მის მერე საქართველოდ წოდებულის ბედი, კიდევ უფრო ბევრად დამძიმდა, თითქმის ყველა არსებული და არ არსებული მიმართულებით!!! ...
========
საბურთალოს ცენტრი, გაგარინის მოედანთან 2 ნაბიჯში, პეკინის N:45
========
მათი რიცხვი დღითი-დღე საგრძნობლად იმატებს!!!....
ჩვენ კი ისევ ვაგრძელებთ მხოლოდ კლავიატურაზე ჩხაკუნს!!! ...
ნიავარან
املاك نياوران
Real Estate
Daily Flat Rent
Daily Tours
Car Rent
NIAVARAN
Real Estate

ტროლები ასევე აქციის ანტიმართლმადიდებლურად წარმოჩენას ცდილობდნენ.




რუსეთის მიმართ ომის და ეკონომიკური სანქციების შიში, პუტინის ქმედებების მოწონება. ანტი-საოკუპაციო აქციების პარალელურად იდენტიფიცირებული ტროლები რუსეთის მიმართ შიშებს ნერგავდნენ. ერთი მხრივ ეს ეხებოდა ომს და უსაფრთხოებას, მეორე მხრივ კი მოქალაქეებს ეკონომიკურ კეთილდღეობას. მონიტორინგის პერიოდში პრო-რუსული ტროლები აქვეყნებდნენ პოსტებს რუსეთის სამხედრო შეიარაღების შესახებ, რითაც რუსეთის უძლეველობის მითის განმტკიცებას ცდილობდნენ. ლარის გაუფასურების პროცესს, რომელიც აქციებამდე რამდენიმე წლით ადრე დაიწყო, ასევე პუტინის მიერ საქართველოში პირდაპირი ფრენების აკრძალვას მიმდინარე აქციებს მიაწერდნენ. თუმცა ამავე დროს, პოზიტიურად იყო შეფასებული პუტინის განცხადება, რომლითაც მან დუმის ინიციატივა საქართველოსთვის სანქციების დაწესების თაობაზე შეაჩერა.







Giorgi Beria is feeling thoughtful with დიდი ვიდეო არქივი and 5 others in Moscow, Russia.
June 26 at 1:13 AM
Сегодня - 24 июня 2019 года - 19:00 ....
========
- ნახეთ რა ოსტატურად და ზედმიწევნით მისანიშნებლად არის ეს საინფორმაციო გამოშვება აწყობილი!!!
საქართველოს ამბებამდე სამხედრო ნაწილების სწავლების კადრებს აჩვენებენ სპეციალურად!!!
- მიმხვედრი ალბათ მიხვდება და ხისთავიანი კი მაინც ვერასდროს ვერაფერს ვერ მიხვდება!!!...
СЕГОДНЯ
ПРОВЕРКА БОЕГОТОВНОСТИ
ЧИСЛО ПОСТРАДАВШИХ ПРИ ВЗРЫВАХ НА ВОЕННОМ СКЛАДЕ В КАЗАХСТАНСКОМ
7
2 Comments 1 Share


Giorgi Beria is feeling thoughtful with დიდი ვიდეო არქივი and 18 others in Moscow, Russia.
June 24 at 10:22 PM
Информационная программа "Сегодня" - 24.06.2019 - 16:00
========
კიდევ გვინდობენ რუსები!!! თორემ სხვები რომ ყოფილიყვნენ მათ ადგილზე, საბოლოოდ დედას უტირებდნენ ამ 300 კილომეტრიან ყოფილ ქვე-ყანას!!!
ГРУЗИЯ
СЕГОДНЯ
BERIA
ПРИПАСОВ
В ТУРЦИИ ОБЪЯВИЛИ О ПОБЕДЕ КАНДИДАТА ОТ ОППОЗИЦИИ НА ПОВТО
24
3 Comments 14 Shares


დაათ ცაბაძე
June 25 at 8:51 PM
დოლარი უკვე 2.85. პუტინი ხუილოა, ყველანი რუსთაველზე! ერთმანეთს ცხვირ-პირი დავალეწოთ მტრის ჯინაზე!
128
27 Comments 30 Shares
Like
Share


Ika Irakli
June 26 at 3:02 PM
თუ ვინმემ პასუხი უნდა აგოს შედეგებზე, ლარის გაუფასურებაზე, ტურისტების ნაკადის შეწყვეტაზე რუსეთიდან, ტურიზმში ჩართული ადამიანების გაღატაკებაზე და ბანკის ვალების აკიდებაზე – ეს არის გორჯისტანის დედა და არა ჩიჩილაკა, ქუცნაშვილი და ასე შემდეგ!
აშკარად ჩანს, თუ ვისი განცხადების საპასუხოდ მიიღო რუსეთმა გადაწყვეტილება დარტყმა მიაყენოს საქართველოს ეკონომიკას!
ჩვენი ვაიპოლიტიკოსები რომ დაძაბულობის განეიტრალების ნაცვლად ცეცხლზე ნავთს ასხამენ, რომლებმაც ელემენტარული დიპლომატია არ იციან ძლიერ სახელმწიფოებთან მიმართებაში, როგორიც არის შეერთებული შტატები და რუსეთი – არ უნდა იკავებდნენ მაღალ თანამდებობებს.
Maria Zakharova
June 21 at 10:55 PM
СМИ: «Президент Грузии Саломе Зурабишвили обвинила Москву в дестабилизации страны. «Раскол страны и общества и внутреннее противостояние никому не идут на руку,...
See More
3
2 Comments
Like
Share


Ika Irakli
June 23 at 9:48 AM
დაიწყებენ ომს რუსეთთან,
თავად გაიქცევიან ლაჩრები!
უსეინ ბოლტს აჯობებენ
სირბილში!
ესა აქვთ ნაბრძანები
დასავლეთიდან პიდარ-
მონებს!!!!
7
Like
Share


დაათ ცაბაძე
June 21 at 10:48 PM
მშვიდობით ტურიზმო. დოლარი რომ სამ ლარზე ავა, რუსთაველზე გავაპროტესტოთ
პირველი არხი
FB LIVE
LIVE
ვლადიმერ პუტინი რუსეთიდან საქართველოში ფრენებს კრძალავს


Ika Irakli
10 hrs
გაამწარა კაცი გაბუნიამ. მანქანა იყიდა რუს ტურისტებზე გასაქირავებლად და აჰა!
ისეა გამწარებული ნაციონალებზეც არ გაყიდის.
MYAUTO.GE
25,000
ID 40506889
თბილისი
2019-07-10 14:29
410
(+995) [redacted]
ავტოსესხი
თვეში 2184
60 დღემდე საშეღავათო პერიოდი
იყიდება TOYOTA RAV 4 2019 | ჰიბრიდი | თბილისი
ვიყიდე გასაქირავებლად და გაბუნიას დედას რო შევე... ერთხელ არ გამიქირავებია ნაციონალებმა არ დამირეკოთ.სულ ახალი! ცენტრის, წვავს ცოტას..
14
3 Comments 5 Shares


Ika Irakli
July 8 at 2:07 PM
აი როგორ უწევდა მარია ზახაროვა რეკლამას საქართველოს - მოუსმინეთ ერთი და სანამდე მივიყვანეთ ყველაფერი!
მისი ერთი ასეთი გამოსვლა მინიმუმ მილიონ რუს ტურისტს უდრიდა საქართველოსთვის!
არ გვინდოდა რძე და ყველი?
ГОВОРИМ ТО, О ЧЕМ ДРУГИЕ МОЛЧАТ
SPUTNIKNEWS.COM
YOUTUBE.COM
Мария Захарова рассказала журналистам о своем отношении к Грузии
4
3 Comments 32 Shares







რუსთავი 2-ის გარდა ტროლების სამიზნე ტვ იმედის წამყვანი ოტარ ტატიშვილიც გახდა, რომელმაც ვლადიმერ პუტინს ტელეთერში გაბუნიას მსგავსად აგინა.




**ოკუპაციის გამართლება.** გამოვლენილი ტროლები მონიტორინგის პერიოდში მანიპულაციური და არარელევანტური შედარებებით რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის გამართლებას ცდილობდნენ. ერთ-ერთი ტროლი რუსეთის ბრალეულობის უარყოფას იმ ფაქტით ხსნიდა, რომ ევროსაბჭოში რუსეთს ხმის მიცემის უფლება აღუდგა.










აქციის მონაწილეთა დისკრედიტაცია, შს მინისტრის მხარდაჭერა. პრო-რუსული ტროლების მხრიდან აქციის ინდივიდუალური მონაწილეების წინააღმდეგ შედარებით ნაკლები მადისკრედიტირებელი პოსტები ქვეყნდებოდა, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში სამიზნე აქციის მონაწილე ლიბერალური იდეოლოგიის პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის თუ საზოგადოების ცალკეული წევრი იყო.






გამოიკვეთა შინაგან საქმეთა მინისტრის მხარდაჭერის შემთხვევაც.










ანტი-დასავლური გზავნილები. აქციების მონაწილეების თუ პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის გარდა, პრო-რუსული ტროლები Facebook-ში ანტი-დასავლურ გზავნილებს ავრცელებდნენ. ეს გზავნილები თანხვედრაში მოდის კრემლის სტრატეგიასთან და ნარატივებთან, რომლებიც ასევე მედიის განვითარების ფონდის ანტი-დასავლური პროპაგანდის 2018 წლის ანგარიშში აისახა. პრო-რუსი ტროლები მონიტორინგის პერიოდში ავრცელებდნენ კონსპირაციებს ლუგარის ლაბორატორიის შესახებ, ასევე ეჭქვეშ აყენებდნენ ქვეყნის სუვერენიტეტს, თითქოს საქართველოში პროცესებს ამერიკის საელჩო აკონტროლებს. ასევე აღვივებდნენ უნდობლობასა და ნიჰილიზმს დასავლური ისნტიტუტების მიმართ.


Ika Irakli
June 25 at 2:16 PM ·
Waiting for Godot!
ელოდეთ, სანამ ევროსაბჭო
ოკუპანტი ღრუსეთის
საწინააღმდეგო რეზოლუციას
ჩაგახუტებთ
IN EU WE TRUST
ბებიათქვენისამ!
7
1 Share
Like
Share


დაათ ცაბაძე
June 21 at 12:04 PM ·
ამერიკის ელჩი 20 წელია
თავზე აზით და სავარძელში
ვიღაც რუსის 1-საათიანი
ჩაჯდომის გამო ზომბილენდი
მოაწყვეს.
გვიშველე მიშა! ))
183
36 Comments 27 Shares
Like
Share


დაჩი ქართველი
12 hrs ·
თბილისში, ამერიკის ლუგარის ლაბორატორიად წოდებულ ვირუსების მწარმოებელ საწარმოში მუშაობა მიმდინარეობს არა მხოლოდ ვირუსებზე, არამედ ვირუსების გადამტანებზეც - ტკიპებსა და კოღოებზე
РИА НОВОСТИ
INTERPRESSNEWS.GE
გენადი ონიშენკო - ლუგარის ლაბორატორიაში მუშაობა მიმდინარეობს არა მხოლოდ ვირუსებზე, არამედ გა
1
2 Shares


Ika Irakli
June 25 at 2:11 PM ·
By bye!
ყლევროპამ გვიღალატა და მხარი დაუჭირა ოკუპანტ ღრუსეთს!
დროა დავტოვოთ ევროსაბჭო, დავიკიდოთ ევროკავშირი და დავიკაპიწოთ ხელი რუსეთთან მარტო საომრად!... See More
imedinews.ge
IMEDINEWS.GE
საქართველოსა და უკრაინის დელეგაციებმა პროტესტის ნიშნად ევროსაბჭოს დარბაზი დატოვეს
7
17 Comments 3 Shares
Like
Share


Ika Irakli
June 23 at 10:04 AM
ქვეყნის მხოლოდ 20% აქვს ჩრდილოელს ოკუპირებული. დანარჩენი 80% კი აშშ-ს, სოროსს, არაბებს, ირანელებს, ელგებეტეს, ლიბერასტების სექტას.
20
1 Comment 6 Shares
Like
Share


Ika Irakli
20 hrs
ჰოდა ყველა კოსმოპოლიტის დედაც!
98% ქართველებისა არა ვართ კოსმოპოლიტები!
გავარტყი ევროპას!
დღის ამბავი 11:25
"ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია" - დონალდ ტუსკმა კონფერენციის მონაწილეებს ქართულ ენაზე, ვაჟა-ფშაველას სიტყვებით მიმართა
P THAT MATT 10 YEARS
UMI IN AL CONFE
11-12 JUL GEORGIA
სიტყვით გამოსვლისას ტუსკმა ასევე ისაუბრა რუსეთზე,ს აბჭოთა კავშირის დაშლასა და იმ პოზიტიურ პროცესებზე, რაც ამ ფაქტს მოჰყვა.
4
3 Comments 1 Share

## II. დეაქტივირებული სახელისუფლებო ტროლები

მედიის განვითარების ფონდმა 2019 წელს 3 ანგარიში გამოაქვეყნა, რომლებიც სახელისუფლებო ტროლების სხვადასხვა მიზნობრივ კამპანიებს შეეხებოდა:

1. **სახელისუფლებო ტროლები მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ**
2. **ტროლების ფაბრიკა, TBC-ის, არასამთავრობოების და მედიის წინააღმდეგ**
3. **სახელისუფლებო ტროლები პანკისის მოვლენებზე, არასამთავრობოების და მედიის წინააღმდეგ**

ადრე გამოვლენილი 31 სახელისუფლებო ტროლიდან, რომლებიც მედიის განვითარების ფონდმა TBC ბანკის საქმეზე, პანკისში განვითარებულ მოვლენებზე და არასამთავრობო ორგანიზაციების და კრიტიკული მედიის საწინააღმდეგო კამპანიის პროცესში გამოავლინა, 15 ივლისის მონაცემებით 29 დეაქტივირებულია ან ხელმისაწვდომი არ არის.






| დეაქტივირებული ტროლები 15 ივლისის მონაცემებით | | |
|---|---|---|
| სახელისუფლებო ტროლები მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ | Avtandil Kereselidze | X |
| სახელისუფლებო ტროლები TBC-ის, არასამთავრობოების და მედიის წინააღმდეგ | Giorgadze Lekso | X |
| | Giorgi Baliashvili | X |
| | Ketevan Arabuli | X |
| | Mariam Svanidze | X |
| | Marika Dgebuadze | X |
| | Marika Melikidze | X |
| | Marika Wveraidze | X |
| | Nana Ediberidze | X |
| | Nino Menabde | X |
| | Saba Giorgadze | აქტიურია |
| | Salome Koridze | X |
| | Salome Sixarulidze | X |
| | Tamro Todadze | X |
| | ანი იორდანიშვილი | X |
| | გიორგი ტუღუში | X |
| სახელისუფლებო ტროლები პანკისის მოვლენებზე, არასამთავრობოების და მედიის წინააღმდეგ | ანასტასია ლევინსკი | X |
| | გიორგი ჩადუნელი | X |
| | დანიელ კაკაბაძე | აქტიურია |
| | დემე მეტრეველი | X |
| | თამარი ქართველი | X |
| | თეონა ზედანია | X |
| | ილიკო ძნელაძე | X |
| | ირინა მოსეშვილი | X |
| | მაია სივსივაძე | X |
| | მაინერ გენერალ | X |
| | მიშა მიშა | X |
| | ნატალია დევდარიანი | X |
| | ნინო დიდებაძე | X |
| | ქეთი ჯაფარიძე | X |
| | ჯონ სმიტი | X |